საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, წინამძღვრიშვილის №190



ტერიტორიის ხედი საკოლმეურნეო ბაზრიდან


შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
მარტი
2016

საპროექტო ობიექტის ადგილი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის საზღვარზე, საკოლმეურნეო („დეზერტირების“) ბაზრის მოპირდაპირე მხარეს, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე №190 (დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი). აქ განლაგებული იყო საბითუმო ბაზარი. ეს ნაკვეთი ამჟამად ეკუთვნის ს/ს „შოდას“ სადაც განსაზღვრულია სასაწყობო და სავაჭრო რიგების და ღია ავტოსადგომის მოწყობა. ასევე მოსაწესრიგებელია სამანქანო შესასვლელები წინამძღვრიშვილის ქუჩის მხრიდან.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ადგილზე უსტატუსო ნაგებობებია

არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია ნაგებობები საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ


საცხოვრებელი სახლები – მ. წინამძღვრიშვილის ქ. №200;
საცხოვრებელი სახლები – ცაბაძის ქ. №№ 3,3ა,3ბ,5,9;
დანარჩენი არქიტექტურული ძეგლები არ განიხილებიან საპროექტო ტერიტორიის ხედვით თვალსაწიერზე.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ




აეროფოტო, 2014წ.



ტოპოგებმა, 2016წ.

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

XIX ს-ში დღევანდელი წინამძღვრიშვილის და აღმაშენებლის გამზირების ბოლოს, თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ შემოგარენში, მტკვრის ჭალები და ბაღები იყო გადაჭიმული.



უბანი კოლონია 1867წ.

1867 წლისთვის ამ უბანში სადაც ძირითადად ევროპელი ემიგრანტები იყვნენ დასახლებულნი, ჯერ კიდევ ჭარბობდა ბაღები და ტერიტორია აუთვისებელი იყო. საპროექტო ტერიტორიის მონაკვეთი ამ გეგმაზე არც არის დატანილი. ამ დროისთვის აქ უკვე დასახულია ამ უბნის მთავარი ღერძები – **მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) და ელისაბედის (დღევანდელი წინამძღვრიშვილის) ქუჩები.**

განაშენიანება აქ დაიწყო XIX ს-ის ბოლო ათწლეულებში და და ფაქტობრივად დასრულდა XX ს-ის 20-იანი წლებისთვის.




1920-იანი წლებისთვის ბორჯომის ქუჩის ჩრდილოეთით განაშენიანებული იყო მხოლოდ მაშინდელი პლეხანოვის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) და კლარა ცეტკინის (დღევანდელი წინამძღვრიშვილის) ქუჩების პერიმეტრები. კვარტალის შიგნით კი დარჩენილი იყო ბაღები.

1926-28 წლებში ამ კვარტალში, მაშინდელ მუშტაიდის შესახვევამდე (დღევანდელი ცაბაძის, ყოფილ ტელმანის ქუჩამდე), აშენდა ე.წ. ტრამვაის მუშების სახლები – არქიტ. დ. ჩისლევი. ხოლო საპროექტო ტერიტორიაზე განლაგებული იყო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

დღევანდელი საპროექტო ტერიტორიის ადგილი

საპროექტო ტერიტორიის აღწერა



ხედი უბანზე, 2014წ.



საპროექტო ტერიტორია, 2014წ.

საპროექტო ტერიტორიაზე და მის ირგვლივ განლაგებულია დაბალი არქიტექტურული ღირებულების ადმინისტრაციული და სამეურნეო შენობები, უსახო საწყობები, ავტომობილებიდან საბითუმო სასურსათო ვაჭრობის ობიექტები და ფარდულები. ანალოგიურად არაღირებულია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ბაზრობის შესასვლელთან მდებარე ერთსართულიანი მოცულობები.

ამჟამად აქ ურბანული გარემო დეგრადირებულია. მეტ-ნაკლებად გამორჩეული ნაგებობაა ყოფ. ავეჯის სახლის ორსართულიანი, ქუჩისკენ გამომავალი ფლიგელი. იგი 1970-80-იანი წლების სავაჭრო ნაგებობის ტიპური ნიმუშია და ადაპტირებულია გარემოსთან. ასევე ორსართულიანი სახლი წინამძღვრიშვილის ქუჩის პერიმეტრზე. ცაბაძის ქუჩისკენ კი არქიტექტურული ძეგლებია.



საპროექტო ტერიტორია, 2016წ.



საპროექტო ტერიტორია, 2016წ.



შესასვლელი ბაზრობაზე, 2016წ.



ტერიტორიის ხედი საკოლმეურნეო ბაზრიდან, 2016წ.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უბნის ეს ნაწილი განვითარდა, როგორც სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია და აქ მდებარე ნაგებობები არქიტექტურულად არ არის ღირებული. ამასთან განაშენიანება დეგრადირებულია უსახო და ამორტიზებული მცირე მოცულობებით. ამჟამად აქ, 2014 წლის აეროფოტოზე და უფრო ადრეულ რუკებზე გამოსახული ყოფილი ბაზრობის გადახურული დახლების რიგები აღებულია. აღებულია ასევე რამდენიმე მცირე ნაგებობაც.

ახალი სავაჭრო რიგების მოწყობა განსაზღვრულია საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, ავტოსადგომისა კი, ტერიტორიის შუა ნაწილში.

აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ეს დიდი კვარტალი მოცული წინამძღვრიშვილის, ბორჯომის, აღმაშენებლის და ცაბაძის ქუჩებით, მთელ პერიმეტრზე საინტერესო არქიტექტურით არის განაშენიანებული და შემორჩენილია XXს-ის I ნახევრისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ესთეტიკა. ჩვენთვის საინტერესო ბაზრობა და მის წინ მდებარე ტერიტორია კი, დეგრადირებულია.

ამიტომ, აქ ტერიტორიის განახლება და შესაბამის მასშტაბიანი ახალმშენებლობა სასურველიცაა, რათა მოწესრიგდეს დეგრადირებული ქსოვილი, მითუმეტეს თუ ეს განხორციელდება კერძო მფლობელების სახსრებით, რადგან ქალაქის ბიუჯეტი ამგვარი ადგილების მოწესრიგებას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს.

ამიტომ, ამ უბანში მოსალოდნელი ნებისმიერი გეგმარებითი და სარეკონსტრუქციო ცვლილების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არა იმდენად მიმდებარე ქუჩების და ნაგებობების მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებანი (რადგანაც ტერიტორიაზე არ არის არქიტექტურული ძეგლები და ამ მონაკვეთს არ აქვს ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული სახე), რამდენადაც ახალი მოცულობების მხატვრული ღირებულებები.

სასურველია, რომ მოწესრიგდეს ბაზრობაზე შესასვლები და მათი არქიტექტურული სახე იყოს თანამედროვე არქიტექტურული ფორმების და მაქსიმალურად მარტივი სახის.

რეკომენდირებულია ასევე, არსებული გამწვანების მაქსიმალური შენარჩუნება. აქ გამწვანებულ ზოლს ისტორიულად ეკავა დიდი ფართობი და სხვადასხვა ნგებობებით შემცირებული, დღეს უკვე მინიმუმამდეა დასული.

ამგვარად, ვინაიდან მიკრო უბანი არ გამოირჩევა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით, შესაძლებლად მიგვაჩნია ახალი სტრუქტურების და მოცულობების გაჩენა იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება მშენებლობის ხარისხი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

მნიშვნელოვანია საპროექტო მოცულობების და განახლებული ტერიტორიის თვალსაჩინოდ წარმოდგენა სხვადასხვა რაკურსებიდან.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
28. 03. 2016